ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 2 დეკემბერი, 2019 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
2. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
3. ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
4. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცაი „ქალი და ბიზნესი“
5. ირაკლი ქასრაშვილი - საერთაშორისო ორგანიზაციის „მერსი ქორფს“ - ის წარმომადგენლობა საქართველოში
6. მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეურნეობათა ცენრი „ელკანა“
7. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა

განსახილველი საკითხები:

1. მე-2 სამუშაო ჯგუფის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხილვა და დამტკიცება. ჯგუფის ამოცანებზე და მუშაობის პრინციპებზე შეთანხმება;
2. სექტორალური შეხვედრების თემატიკაზე მსჯელობა და პრიორიტეტების განსაზღვრა.

3. ადვოკატირების და ლობირების საკითხები; შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებთან და ევროკომისასთან/ევროდელეგაციასთან თანამშრომლობა.
4. სხვა მიმდინარე საკითხები.

მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორებმა, დავით ცისკარიძემ და კონსტანტინე ჟღენტმა. მათ ჯგუფის წევრებს გააცნეს შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

პირველ საკითხად კოორდინატორმა ისაუბრა ჯგუფის წევრებისთვის გაგზავნილ სამოქმედო გეგმის დოკუმენტზე. აღნიშნული დოკუმენტი მომზადდა მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორების მიერ და ელექტრონულად გაიგზავნა ჯგუფის ყველა წევრთან.

შეხვედრის მიმდინარეობის პროცესში, დეტალურად იქნა განხილული სამოქმედო გეგმის ყველა პუნქტი. განიმარტა ყველა მიმდინარე საკითხი, ასევე ამ საკითხების ირგვლივ არსებული პრობლემები და მეორე სამუშაო ჯგუფის შესაძლებლობების განსაზღვრა ამ პრობლემების გადაჭრის გზაზე. შეხვედრის მიმდინარეობისა და სამოქმედო გეგმის განხილვის პროცესში მოხდა კონკრეტული პუნქტების ჩასწორება და კორექტირება, მსჯელობების შედეგად.

შეხვედრის დასასრულს საბოლოო სახით ჩამოყალიბდა სამოქმედო გეგმის დოკუმენტი რომელიც გადაიგზავნება მეორე სამუშაო ჯგუფში და ერთი კვირის ვადაში ჯგუფის წევრებს საშუალება მიეცემათ კვლავ წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები, ხოლო ერთი კვირის შემდეგ სამოქმედო გეგმა დამტკიცდება.

მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე განიხილეს ის საკითხები, რომლებზეც შესაძლებელია, უახლოეს მომავალში, გაიმართოს სექტორული შეხვერები ეროვნულ პლატფორმასა და საქართველოს მთავრობას შორის თანამშრომლობის შესახებ არსებული მემორანდუმის ფარგლებში.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ, სამუშაო ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე